ეი-რე

საბავშვო შემეცნებითი-გასართობი ჟურნალი
გამოდის თვეში ერთხელ

სწავლა, რომელიც თამაშს ჰგავს!
ცოდნისა და მხიარულების სუნთქი ძალა

მაისი, 2025

ჩამოტვირთე

სარჩევი

წითელქუდა - 05 - 19

შეკითხვების საოცრებათა სამყარო - 21 - 29

ემოციების საოცრებათა სამყარო - 30 - 36

რიცხვების საოცრებათა სამყარო - 37 - 43

ტვინის აერობიკა - 44 - 46

სიბრძნის კუთხე - 47 - 51

ამაუშავე კუნდი

პროექტის ავტორი და ხელმძღვანელი: ნინი ჭაჭია

ასისტენტები: ნინა არეშიძე, ნიკოლოზ ბჟალავა

დიზაინერი: მარიამ ინასარიძე

მარკეტინგის ხელმძღვანელი: ნათია გაფრინდაშვილი

რედაქტორი: თინათინ ქავთარაძე

ISSN 3088-4160

© ნინო ჭაჭია, ყველა უფლება დაცულია 2025

აუდიტორიისგან

მოგესალმებით, ძვირფასო მშობლებო და მასწავლებლებო,

დღეს კრიტიკული აზროვნება აღარ ნიშნავს მხოლოდ ტექსტის გაგებას.

ტექნოლოგიებით სავსე სამყაროში, ჩვენი შვილებისთვის აუცილებელია ინფორმაციის ანალიზის, შეფასებისა და მიზნის დანახვის უნარი. ბავშვების ყოველდღიურობა სავსეა ეკრანებით, სწრაფი ცვლილებებითა და ინფორმაციის ნაკადით. ამ პირობებში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ ისინი მხოლოდ ფაქტებს კი არ ეუფლებოდნენ — არამედ ისწავლონ ფიქრი, არჩევანის გაკეთება და ემოციების მართვა.

💡 რატომ არის ეს ასე მნიშვნელოვანი?

დღევანდელ ბავშვებს სჭირდებათ უნარები, რათა:

- 📊 შეძლონ ანალიზი და შეფასება;
- 🤔 არგუმენტირებული მსჯელობა;
- 🧠 სიმართლისა და სიცრუის გარჩევა;
- ❤️ ემპათიის გამოხატვა;

📊 რას აჩვენებს კვლევები?

კრიტიკულად მოაზროვნე ბავშვები უკეთ ართმევენ თავს რთულ ამოცანებს;

ისინი უფრო კონკურენტუნარიანები არიან აკადემიურად და პროფესიულად;

ემოციურად მედგრები არიან და თვითრეგულაციის უკეთესი უნარები აქვთ;

🖥️ ეკრანზე დამოკიდებულება და მისი გავლენა

ეკრანი ჩვენი ბავშვების ყოველდღიურობის ნაწილი გახდა — ტელევიზორი, პლანშეტი, ტელეფონი, კომპიუტერი, თუმცა როდესაც ეკრანზე გატარებული დრო უკონტროლოდ იზრდება, ეს იწვევს:

- 🧠 ყურადღების დეფიციტსა და კონცენტრაციის პრობლემებს;
- 🛏️ ძილის დარღვევას (ლურჯი შუქის ზეგავლენა);
- 😔 ემოციების გამოხატვის სირთულეს;
- 🗣️ რეალური კომუნიკაციის შემცირებას;
- 🚶 ფიზიკური აქტივობის ნაკლებობას.

სწორედ ამიტომ, მნიშვნელოვანია, ეკრანის პარალელურად ბავშვებს ჰქონდეთ განვითარებისთვის საჭირო სხვა გამოცდილებებიც.

🌍 თანამედროვე რეალობა და მომავლის უნარები

ტექნოლოგიები ყოველდღიურად ცვლიან სამყაროს. ავტომატიზაცია ბევრ პროფესიას ანაცვლებს და მომავალშიც ასე გაგრძელდება.
ამ ფონზე ყველაზე მნიშვნელოვან უნარებად ყალიბდება:

- კრიტიკული აზროვნება;
- კრეატიულობა;
- მულტიდისციპლინური ხედვა.

📌 მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის 2020 წლის მონაცემებით, კრიტიკული აზროვნება და პრობლემის გადაჭრის უნარი, 2025 წლისათვის ერთ-ერთი ყველაზე მოთხოვნადი გახდება.

📌 ამერიკის მენეჯმენტის ასოციაციის მიხედვით, წარმატებული მენეჯერების 68% კრიტიკულ აზროვნებას ერთ-ერთ მთავარ კომპონენტად მიიჩნევს

📌 კლაუს შვაბის თქმით (მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის დამფუძნებელი):
„მეოთხე ინდუსტრიული რევოლუცია მოითხოვს ახალი უნარების განვითარებას — განსაკუთრებით კრიტიკული აზროვნებისა და კრეატიულობის მიმართულებით.“

⭐ რატომ შეიქმნა „აი-რა“?

„აი-რა“ არ არის მხოლოდ გასართობი ჟურნალი.
ეს არის ცოდნის სუპერძალა - თამაშითა და ზღაპრით ეხმარება ბავშვებს:

- იფიქრონ დამოუკიდებლად;
- გამოხატონ საკუთარი ემოციები;
- გაიგონ, რომ სწავლა სახალისოა.

💙 რატომ არის „აი-რა“ უფასო?

„აი-რა“ შეიქმნა როგორც პასუხი განათლების კრიზისზე, რომელიც დღეს საქართველოში მწვავედ იგრძნობა

📊 კვლევების მიხედვით:

- მოსწავლეთა უმრავლესობა ვერ ფლობს წაკითხულის გააზრებისა და კრიტიკულად ფიქრის უნარებს;
- დაბალშემოსავლიანი ოჯახების ბავშვები ხშირად მოკლებულნი არიან საგანმანათლებლო რესურსებს;
- ადრეული ასაკი — 4-დან 9 წლამდე — გადამწყვეტია ფიქრის, ემოციებისა და სწავლის უნარების ჩამოყალიბებაში;

🎯 სწორედ ამიტომ, „აი-რა“ უნდა იყოს ხელმისაწვდომი ყველასთვის — განურჩევლად სოციალური სტატუსისა, მდებარეობის ან შესაძლებლობისა

მე მჯერა:

წვდომა განათლებაზე არ უნდა იყოს ფუფუნება;
ბავშვების განათლება უნდა ხდებოდეს თამაშებით, მსჯელობით ემოციებით და ამ სახის სწავლება უნივერსალური უნდა იყოს. კვლევები აჩვენებს, რომ გაჭირვებულ ოჯახებს მსგავსი საგანმანათლებლო პროგრამების მიმართ ხელმისაწვდომობა არ აქვთ.

🎁 ამიტომაც: „აი-რა“ იქნება უფასო — რათა ცოდნის, მსჯელობისა და სიხარულის სუპერძალით ყველას შეეძლოს სარგებლობა

ვიმედოვნებ, რომ „აი-რა“ გახდება თქვენი პატარების მეგზური.
მეგზური, რომელიც მათში გააღვიძებს იმ უნარებს, რაც სჭირდებათ ბედნიერი და წარმატებული მომავლისათვის

სიყვარულით,
ნინი ჭაჭია.

P.S. არ დაგავიწყდეთ გამოიწეროთ „აი-რა“ — ასე მიიღებთ ჟურნალის ახალ ნომრებს გამოსვლისთანავე და ექსკლუზიურ დამატებით მასალებს, რომელიც მხოლოდ გამომწერებისთვის იქმნება.

წითელქუდა

იყო ერთი და არა იყო რა, იყო ერთი პატარა გოგონა, რომელსაც ძალიან უყვარდა თამაში და გართობა. ერთ დღეს, გოგონას ბებიამ დაბადების დღეზე ლამაზი წითელი ქუდი აჩუქა. მას ეს ქუდი ისე მოეწონა, რომ სულ თავზე ეხურა. ამიტომ მას შემდეგ ყველა „წითელქუდას“ ეძახდა.



ერთ დღეს, როცა გოგონა
ეზოში თამაშობდა, დედამ დაუძახა:



— წითელქუდა, ბებია ავად არის. აიღე კალათა — წამლები, წვენი და გემრიელი ღვეზელები გავამზადე — წაუღე და მოინახულე ბებია. მაგრამ ძალიან ფრთხილად იყავი, საყვარელო! ტყეში უცნობებთან არ გაჩერდე და გზიდან არ გადაუხვიო.

— კარგი, დედიკო! — უპასუხა წითელქუდამ და გზას გაუდგა.

ტყეში წითელქუდა მხიარულად მიდიოდა. ყვავილებს კრეფდა, ჩიტების გალობას უსმენდა და პეპლებს დასდევდა.

ამ დროს ტყეში ძალიან მშიერი მგელი დარბოდა და საკვებს ეძებდა. უცებ, ბუჩქებიდან დიდი, რუხი მგელი გამოვიდა.

გაიგონა წითელქუდას ხმა და მიუახლოვდა.

— ჰეი, პატარა გოგონა, სად მიდიხარ ასე მხიარულად?
— ჰკითხა მგელმა და ეშმაკურად გაიღიმა.

წითელქუდას დაავიწყდა დედის გაფრთხილება და უპასუხა:
— ბებიასთან მივდივარ მოსანახულებლად. ის ავად არის და წამლები და საკვები უნდა მივუტანო.
— და სად ცხოვრობს შენი ბებია? — ჰკითხა მგელმა.
— ტყის ბოლოს, წისქვილთან ახლოს — უპასუხა გოგონამ.



— რა კარგია! — უთხრა მგელმა. — მოდი, ერთმანეთს შევეჯიბროთ და ვნახოთ, ვინ უფრო ადრე მივა ბებიის სახლთან. მე ერთ გზას ავირჩევ, შენ — მეორეს



მგელმა მოკლე გზა აირჩია და ბებიის სახლთან პირველმა მივიდა. დააკაკუნა:
— კაკ, კუკ!
— ვინ არის? — იკითხა ბებიამ.
— მე ვარ, წითელქუდა! — უპასუხა მგელმა დაწვრილებული ხმით.
— ურდული ჩამოწიე, ჩემო პატარა, და კარი გაიღება!

მგელმა კარი სწრაფად გააღო, მივარდა ბებიას და უცებ გადაყლაპა. შემდეგ ბებიას ტანსაცმელი ჩაიცვა, საწოლში შეწვა და წითელქუდას დაელოდა.

ცოტა ხანში წითელქუდა მივიდა ბებიის სახლთან და
კარზე დააკაკუნა:
— კაკ, კუკ!



— ვინ არის? — იკითხა მგელმა ბებიის ხმით.
— მე ვარ, წითელქუდა! შენს მოსანახულებლად მოვედი
— დედამ წამლები და ღვეზელები გამომატანა.
— შემოდი, ჩემო პატარა! ჩამოწიე ურდული და კარი გაიღება
— უპასუხა მგელმა.



წითელქუდა ოთახში შევიდა და ბებიას საწოლთან მივიდა.
მაგრამ რაღაც უცნაური მოეჩვენა. ჩამოჯდა საწოლის გვერდით და
დაიწყო კითხვების დასმა:
— ბებია, რატომ გაქვს ასეთი დიდი ხელები?
— უკეთ რომ მოგეხვიო, ჩემო პატარა!

— ბებია, რატომ გაქვს ასეთი დიდი ყურები?
— უკეთ რომ მოგისმინო!
— ბებია, რატომ გაქვს ასეთი დიდი თვალები?
— უკეთ რომ დაგინახო!
— ბებია, რატომ გაქვს ასეთი დიდი კბილები?
— რომ უკეთ შეგჭამო! — დაიღრიალა მგელმა და წითელქუდა გადაყლაპა.

ამ დროს ბებიას სახლთან მეტყევეებმა ჩაიარეს. ხმაური გაიგონეს, სახლში შევარდნენ და მგლის მუცლიდან ბებია და წითელქუდა ამოიყვანეს.
მას შემდეგ წითელქუდამ კარგად იცოდა, რომ უცნობებთან ფრთხილად უნდა ყოფილიყო. ის უფრო დამჯერი გახდა და ყველას უყვებოდა თავის საოცარ ამბავს.

ჭირი იქა, ლხინი აქა,
რაც მტრობას დაუნგრევია,
სიყვარულს უშენებია.

მოაზროვნე ბავშვი

საკვირაო სკოლა 5-10 წლის ბავშვებისთვის



გსურთ, რომ თქვენი შვილი აღმოჩნდეს საინტერესო, უსაფრთხო და მეგობრულ გარემოში, ისწავლოს კრიტიკული აზროვნება, განივითაროს ლოგიკა და კომუნიკაცია, ამასთან ერთად გაერთოს?

გელოდებით კრიტიკული აზროვნების სკოლის საკვირაო სკოლაში.

რა დახვდებათ ბავშვებს ჩვენთან?

- წიგნების კითხვა და პერსონაჟების განხილვა
- სახალისო, თემატური და ინტერაქტიური გაკვეთილები
- მეგობრული გარემო და თანატოლებთან კომუნიკაცია
- აზროვნების, ლოგიკისა და წერის უნარების განვითარება



- გაკვეთილები – **კვირაში ერთხელ, შაბათს ან კვირას**
- თვეში – **4 გაკვეთილი**
- მისამართი: **სოლოლაკი, მუსხელიშვილის ქ. 10**
- რეგისტრაცია: https://forms.gle/YTLGqdxV2DscwS9b7

ადგილი შეზღუდულია

დარეგისტრირდით დროულად!

დასკანერე

დაგვიკავშირდით:
595751122

ᲨᲔᲙᲘᲗᲮᲕᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲪᲘᲡᲠᲔᲑᲐᲗᲐ ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐ







განმავითარებელი შეკითხვები

1. რას გვასწავლის ეს ზღაპარი?

2. რომელი მონაკვეთები გეჩვენება ზღაპრულად (არარეალურად) წითელქუდაში და რატომ?

3. წითელქუდას ზღაპარი ნამდვილია თუ გამოგონილი?

4. რაზე გააფრთხილა დედამ წითელქუდა?

5. როგორი იყო მგელი, როცა ტყეში დაძრწოდა?

6. როგორ უნდა მოვიქცეთ, როდესაც უცხო გვესაუბრება?

მეზლაჯრის შეკითხვები

რა მოხდებოდა, წითელქუდას მგელის გზით რომ ევლო?

რა მოხდებოდა წითელქუდას მშიერი მგელისთვის საკვები, რომ მიეცა?



რა მოხდებოდა ბებიას მგელისათვის კარი რომ არ გაეღო?

რა მოხდებოდა წითელქუდას ოთახში შესვლისას მგელი რომ ეცნო?

რა მოხდებოდა წითელქლუდა ტყეში მეტყევეს რომ შეხვედროდა?

როგორ შეიცვლებოდა ზღაპარი თუ წითელქუდა და დედა ერთად წავიდოდნენ ბებიის სანახავად?

წითელქუდას ზღაპარი



ავტორი: _____

ემოციების საოცრებათა სამყარო

შენ გიგრძვნია სიხარული?
შეგშინებია ოდესმე?
ან ყოფილხარ სევდიანი, როცა საყვარელი სათამაშო დაგეკარგა?
ესე იგი, უკვე იცნობ ემოციებს!
ემოცია არის ის, რაც გვეხმარება გავიგოთ, როგორ ვგრძნობთ თავს.

რას აკეთებენ ემოციები?

ემოციები ჩვენი შინაგანი მეგობრები არიან.
ისინი გვესაუბრებიან:

-რა კარგია!
-ფრთხილად!
-რაღაც მაწუხებს...
-მომეფერე!
ემოციებს შეგვიძლია ვუწოდოთ ჩვენი შიდა "რადარები" – როგორც საძიებო რუკა, რომელიც გვეხმარება სამყაროსთან ურთიერთობაში.

რაცომ გვაქვს ემოციები?

-რათა გავიგოთ, რა მოგვწონს და რა — არა;
-რათა ავუხსნათ სხვებს, რა გვიხარია ან გვწყინს;
-რათა მივხვდეთ, რას გრძნობენ სხვები;
-რათა ვიცოდეთ, როგორ მოვიქცეთ, როცა რაღაც გვეხება.

როგორ გამოჩნდება ემოცია?

ემოციები სხვადასხვანაირად ჩნდებიან:
მათ ამოვიცნობთ:
-ჩვენს სახეზე – როცა ვიღიმით, ვბრაზდებით ან ვშფოთავთ
-ხმაში – როცა ვსაუბრობთ ჩუმად, ვყვირით ან ვცქმუტავთ სიხარულით
-ქცევაში – როცა გავურბივართ, ვეხუტებით, ან უბრალოდ ვდუმივართ

ყველა ემოცია მნიშვნელოვანია!

არ არსებობს "კარგი" ან "ცუდი" ემოცია — ყველა მათგანი რაღაცას გვეუბნება და ყველა საჭიროა.
მოდი, რამდენიმე ემოცია უკეთ გავიცნოთ:

სიხარული

როცა რაღაც გვაბედნიერებს – ეს სიხარულია!
სიხარული გვიბიძგებს, გავუზიაროთ სხვებს ჩვენი ბედნიერება.
მაგალითად:
როცა საჩუქარს ვიღებთ;
როცა ვთამაშობთ მეგობრებთან;
როცა გვეხუტებიან საყვარელი ადამიანები.

შიში

შიში გვეუბნება: "ფრთხილად იყავი!"
როცა რაღაც უცნაურია ან გვემუქრება, შიში ცდილობს დაგვიცვას.
მაგალითად:
როცა უცნაურ ხმას ვიგებთ ბნელ ოთახში;
როცა ქუჩას ვკვეთთ;
როცა უცნობი გვესაუბრება და ვერ ვხვდებით, რას უნდა.

სევდა

როცა რაღაც ვკარგავთ ან გვაკლია — ვგრძნობთ სევდას.
სევდა გვეხმარება, გავიგოთ, რა იყო ჩვენთვის მნიშვნელოვანი.
მაგალითად:
როცა საყვარელი სათამაშო დაგვეკარგა;
როცა მეგობარი გვენატრება;
როცა თავს მოწყენილად ვგრძნობთ;

გაბრაზება

გაბრაზება გვეუბნება: "რაღაც არ მოგვწონს!"
იგი გვაძლევს ენერგიას, რომ მოვაგვაროთ პრობლემები — ჩხუბის გარეშე. თუმცა ეს ზოჯერ გვავიწყდება
მაგალითად:
როცა ვინმე სათამაშოს გვართმევს;
როცა ვერ გვიგებენ;
როცა წესებს არღვევენ და ეს გვაწუხებს.

გაკვირვება

როცა რაღაც მოულოდნელად ხდება — ვგრძნობთ გაკვირვებას.
იგი გვეხმარება, დავინტერესდეთ და ვნახოთ ახალი ამბები.
მაგალითად:
როცა ვიღაც უცბად საჩუქარს გვჩუქნის;
როცა ცისარტყელას ვხედავთ;
როცა ახალს ვსწავლობთ.



სიყვარული და ზრუნვა

სიყვარული სითბოა, კავშირია, მოფერებაა.
ზრუნვა გვეუბნება: "მნიშვნელოვანი ხარ ჩემთვის!"
მაგალითად:
როცა დედა ან მამა გვეხუტება;
როცა ვეხმარებით მეგობარს;
როცა ვამბობთ „მადლობა“ და ვაფასებთ სხვას.



ახლა ემოციების ბარათები დავამზადოთ. ამოჭრილი ექვსივე ბარათი



სიხარული



შიში



სევდა



გაბრაზება



გაკვირვება



სიყვარული
და ზრუნვა

ამოჭერი წლაჯრის ჰერსინაფერების ემოციების ბარათები

მზად ხარ ემოციების ამოცნობაში საჯარჩიშოდ?

🎯 რა უნდა გააკეთო?

შენ უკვე გაქვს ბარათები

შენი ამოცანაა:

დააკვირდი წითელქუდას ბარათს.
აირჩიე შესაბამისი მზე, რომელიც ერგება მის ემოციას.
თითოეული ზღაპრის პერსონაჟს შეუსაბამე მზის ემოცია.

დაასაბუთე: რატომ ფიქრობ, რომ ამ ემოციას გამოხატავს?

რა სახე აქვს? როგორ უყურებს? რას აკეთებს?

და შენ როდის გრძნობ ემოციების ბარათებზე არსებულ ემოციებს?

რიცხვების საოცრებათა სამყარო

რიცხვების სათცრეგათა სამყარო – ჩვენი ყოველდღიური მაგია!

„რიცხვები – ჩვენი მეორე ენა“

რიცხვები ჩვენს ირგვლივ ცხოვრობენ — თვლებში, თამაშებში, ნაბიჯებში და ღვეზელებში!

და რაც მთავარია — **რიცხვებით თამაში გვეხმარება გავხდეთ უფრო ყვავიანები, დაკვირვებული და გაბედული!**

რიცხვები ჩვენი მეგობრები არიან, რომლებიც ყველგან გვხვდებიან. ისინი დამხმარე გმირები არიან, რომლებიც გვეხმარებიან ცხოვრებაში.

რისთვის გვჭირდება რიცხვები?

დასათვლელად - რამდენი რამ გვაქვს?

დროის გასაზომად - რამდენი დრო გავიდა?

მანძილის საზომად - რამხელა გზა უნდა გავიაროთ?

შესადარებლად -რამდენი ვაშლი ჩავდეთ კალათაში ან რამდენი სათამშო გვაქვს?

რიცხვებით თამაში კი ყველაზე საინტერესოა და ჩვენში სუპერ ძალებსაც ავითარებს.



რიცხვები ჩვენს გარშემო — როგორ დავთვალოთ?

აბა ვნახოთ რამდენ რიცხვთან გაქვს ყოველდღიურად შეხება?
- რამდენი წლის ხარ?
- რა სიმაღლის ხარ?
- რამდენს იწონი?
- რამდენი სათამაშო გაქვს?
- როდის არის შენი დაბადების დღე?
- შენი სახლის მისამართი რა რიცხვებს შეიცავს?
- რამდენი თითი გაქვს ხელზე? ფეხზე?

წითელქუდას ზღაპარში რამდენ რიცხვთან შეგვიძლია ვიმეგობროთ?

- რამდენი ზღაპრის პერსონაჟია წითელქუდაში?
- რომელ გზაზე წავიდა წითელქუდა და მგელი?
- რამდენი რამ ჩაუდო დედამ წითელქუდას კალათაში?

ამოჭრილი ბარათები

1	2	3	4
5	6	7	8
9	10	11	12
13	14	15	16
17	18	19	20

ვისწავლოთ დათვლა:

დავალება - იპოვე და დაითვალე!

დააკვირდი ფურცელს! იპოვე რამდენი წითელქუდა, მგელი, კალათა და პეპელა ჩანს.



შეაერთე რაოდენობა და რიცხვი!



7



10



6



9



5

8

რომელი ობიექტი იყო ყველაზე მეტი? - შემოხაზე
გააფერადე და შემოხაზე, რომელიც ყველაზე ნაკლები იყო!



2 + 3 = 5



4 + 2 = 6



5 + 1 = 6



4 - 2 = 2



6 - 2 = 4



9 - 3 = 6

ცვლილების პერიოდი









ყურადღებით დააკვირდი ორივე სურათს, იპოვე განსხვავება
და შემოხაზე ის.





მარცხენა თითით მოხაზე მარცხენა მხარეს დახატული ობიექტი
და მარჯვენა თითით მოხაზე მარჯვენა მხარეს დახატული ობიექტი.
ორივე ხელის თითი ერთდროულად უნდა ხაზავდეს ობიექტებს.
აბა დავიწყოთ:





მარცხენა თითით მოხაზე მარცხენა მხარეს დახატული ობიექტი
და მარჯვენა თითით მოხაზე მარჯვენა მხარეს დახატული ობიექტი.
ორივე ხელის თითი ერთდროულად უნდა ხაზავდეს ობიექტებს.
აბა კიდევ ვივარჯიშოთ:

სიბრძნის ჯუთხე

რა არის ზღაპარი?

ზღაპარი არის განსაკუთრებული მოთხრობა, რომელიც ძალიან საინტერესოა და ხშირად ჯადოსნური მოვლენებით არის სავსე!

ზღაპრებში ყველაფერი შესაძლებელია

ცხოველები ლაპარაკობენ;
- ჯადოსნური ამბები ხდება;
- გმირები ბოროტ ძალებს ამარცხებენ;
- საინტერესო თავგადასავლები გველის.

რაცომ ვყვებით ზღაპრებს?

- ზღაპრები მხოლოდ გასართობი კი არ არის — ისინი ბევრ რამეს გვასწავლიან:
- რას ნიშნავს, ვიყოთ კეთილი და მამაცი?
- როგორ გადავლახოთ სირთულეები?
- რას ნიშნავს კარგი და ცუდი?

როგორ იქმნებოდა ზღაპრები?

ძველად, როცა წიგნები არ არსებობდა, ხალხი ერთმანეთს ზღაპრებს უყვებოდა. ეს ამბები თაობიდან თაობას გადაეცემოდა. ზოგჯერ ახალ დეტალებსაც ამატებდნენ და ასე, ზღაპრები იცვლიდნენ ფორმას. ამიტომაც არსებობს ერთი ზღაპრის სხვადასხვა ვერსია, მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში!

ზღაპრებს სხვადასხვა სახეობა აქვთ. აი რამდენიმე მათგანი:

ჯადოსნური ზღაპრები

ბოროტი და კეთილი ძალები ებრძვიან ერთმანეთს. მაგალითად: „მძინარე მზეთუნახავი“, „ნარნია“, „ალადინი“.

ზღაპრები ცხოველებზე

ცხოველები ლაპარაკობენ და ადამიანებივით იქცევიან. მაგალითად: „სამი გოჭი“, „მგელი და შვიდი თიკანი“, „მელაკუდა და კურდღელი“.

მხიარული ზღაპრები

გვაცინებენ და სახალისო ამბებია. მაგალითად: „შიშველი მეფე“, ძმები გრიმების ზოგიერთი ზღაპარი.

ხალხური ზღაპრები

ეს ძველი ამბებია, რომლებსაც ჩვენი წინაპრები თაობებს უყვებოდნენ. ყოველ ქვეყანას თავისი ხალხური ზღაპრები აქვს!

„არ-რა“-ში უკვე გაქვს შესაძლებლობა შექმნა შენი ზღაპრის ვერსია, ილუსტრაციებიც კი გამზადებული გაქვს. უკვე შექმენი შენი ზღაპარი?

ახლა კი შეკითხვების დრო დადგა, აბა დაფიქრდი:
რომელია შენი საყვარელი ზღაპარი და რატომ?
რომელ ზღაპარში ჩნდებიან ცხოველები, რომლებიც ლაპარაკობენ?
შენც გინდა, რომ დაწერო საკუთარი ზღაპარი? თუ კი — ვისზე იქნება?
რომელი ზღაპარი მოგწონს ყველაზე მეტად:
ჯადოსნური?
ცხოველებზე?
მხიარული?
ხალხური?
შეგიძლია მოიფიქრო ახალი გმირი, რომელიც ახალ ზღაპარში იქნება.
როგორია ის?

შემოქმედებითი დავალება:

✍ შეავსე:
ჩემი ზღაპარი იქნებოდა _____,
მასში ცხოვრობენ _____,
და მთავარი გმირი _____ ამარცხებს
_____!

როგორია მგელი რეალურად?

ზღაპრებში მგელი ხშირად ბოროტ პერსონაჟად გვხვდება…
მაგრამ რეალურ ცხოვრებაში მგელი სულაც არ არის ბოროტი!
ის ძალიან ჭკვიანი, საინტერესო და საოცრად ერთგული ცხოველია,
რომელიც ბუნების მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს.

მგლები — ცხის მცველები

მგლები ოჯახივით ცხოვრობენ ჯგუფებად, რომელსაც **ხროვა** ჰქვია.

- ისინი ერთმანეთს ეხმარებიან;
- ერთად ნადირობენ;
- თამაშობენ და ყმუილით ეწყობიან.

მგელი არ არის ბოროტი — ის უბრალოდ ცხოველია,
რომელსაც საჭმელი სჭირდება გადარჩენისთვის.

გაიცანი მგლების სახეობები!

1. რუხი მგელი

ყველაზე გავრცელებულია. ცხოვრობს ევროპისა და აზიის ტყეებსა და მთებში.

2. თეთრი (არქტიკული) მგელი

ცხოვრობს თოვლიან და ცივ ადგილებში — მაგალითად, ჩრდილოეთ პოლარული ზონაში.

3. წითური მგელი

იშვიათი და გადაშენების პირას. აქვს მუქი წითელი ბეწვი და ბინადრობს ამერიკის სამხრეთით.

4. ეთიოპიური მგელი

აფრიკაში ცხოვრობს. პატარა ზომისაა და სწრაფია.

5. ტუნდრის მგელი

ძალიან გრძელი და ღია ბეწვით. ცხოვრობს ჩრდილოეთის ცივ ზონებში.

6. მექსიკური მგელი

ყველაზე პატარა ქვესახეობა. გადაშენების პირას მყოფია, მექსიკის ტყეებში ცხოვრობს.



7. ინდოეთის მგელი

ცხოვრობს თბილ კლიმატში. თხელი ბეწვი აქვს.

ყველა ეს სახეობა ერთმანეთისგან განსხვავდება — მაგრამ ყველა მათგანი ბუნებისთვის ძალიან მნიშვნელოვანია!

რაცომ არის მგელი მნიშვნელოვანი ბუნებისთვის?

მგლები ეკოსისტემის ბალანსს იცავენ, იმიტომ რომ:
არეგულირებენ სხვა ცხოველების რაოდენობას (მაგალითად — ირემები, კურდღლები);
ამცირებენ დაავადებების გავრცელებას, რადგან სუსტ ცხოველებზე ნადირობენ

ეხმარებიან ტყეს: აძლევენ შანსს, რომ ჯანმრთელი და მწვანე დარჩეს!
მაგალითად, როცა მგლები ტყეში აღარ ცხოვრობენ, იქ ძალიან ბევრი ირემი და კურდღელია, ისინი იმდენ ბალახს, ფოთოლს და ნერგს ჭამენ, რომ მცენარეები ვეღარ იზრდებიან - ტყე ზიანდება.

შემეცნებითი / საინფორმაციო შეკითხვები:

მგელი რომ ადამიანივით ლაპარაკობდეს, რას გვეტყოდა ტყის შესახებ?

სად ცხოვრობენ თეთრი მგლები?

როგორ ცხოვრობენ მგლები – მარტო თუ ჯგუფურად?

როგორ ეხმარება მგელი ტყეს ჯანსაღად დარჩენაში?

მგელი მტაცებელია, თუ ბალახისმჭამელი?

რომ შეგეძლოს მგლის დახატვა ზღაპარსა და რეალობაში, როგორ დაახასიათებდი მას?

შეგიძილია მოიფიქრო ზღაპარი, სადაც მგელი პოზიტიური გმირია? რას გააკეთებდა ის?

სმარტ სტარტი

წიგნებით და თამაშებით ვემზადებით სკოლისთვის

ჯერ სქოლი 4–6 წლის ბავშვებისთვის.

რას ვაკეთებთ?

- წავიკითხავთ ისტორიებს – ვისწავლით აზროვნებას და ემოციების მართვას
- ვითამაშებთ თამაშებს – ლოგიკა, კრეატიულობა, კონცენტრაცია
- ვიმსჯელებთ – პერსონაჟებსა და საკუთარ ემოციებზე

შედეგები

- სკოლისთვის მომზადება სტრესის გარეშე
- კომუნიკაციის და კონცენტრაციის გაუმჯობესება
- კრიტიკული აზროვნება და ემოციების მართვა

- გაკვეთილები – **კვირაში ერთხელ, შაბათს ან კვირას**
- თვეში – **4 გაკვეთილი**
- მისამართი: **სოლოლაკი, მუსხელიშვილის ქ. 10**
- რეგისტრაცია: forms.gle/mooknwjPC1JYg3CD6

ადგილი შეზღუდულია

დარეგისტრირდით დროულად!

დაესკანერე

დაგვიკავშირდით:
595751122

აი-რა

ცოდნისა და მხიარულების სუპერ ძალა

შენ უკვე გახდი წითელქუდას ორდენის მეზღაპრე...
მაგრამ ცის რკალში კიდევ ერთი — საიდუმლო ორდენიც იმალება.

ის იწყება იქ,
სადაც ბგერები ცეკვავენ და ასოები მღერიან.
საიდუმლო ტყეში დამალულია უძველესი სამყარო —
სადაც ყველა ამბავი 33 ცოცხალი ბგერისგან იბადება.

ეს ბგერები ცოცხლობენ —
ზოგი ქრის, ზოგი იწვის, ზოგი ფრთხილად ჩურჩულებს.
და როგორც კი ისინი სწორი რიგითობით ეწყობიან,
იქმნება საოცარი სიტყვების სამყარო...

ახლა კი —
შენი დროა.
გამოიცანი მომდევნო ორდენის სახელი.
გახსოვდეს:
ასოების მიმდევრობა — ეს არის
გზაჯვარედინი და გასაღები.
მხოლოდ ის, ვინც ამოხსნის ბგერების
თავსატეხს,
გახსნის კარიბჭეს შემდეგი ზღაპრისკენ...
13.1.27.1.17.22.5.22.9.1.



გახდი „აი-რა“ს სუპერ ძალის მატარებელი და მოიწვიე მეგობრები
“აი-რა”ს გამომწერთა კლუბში.